ახალი და ძველი სამოქალაქო ომების შედარებითი ანალიზი

Case Study - კოლუმბიისა და ჩილეს სამოქალაქო ომები

ნინო გელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასისტენტ- პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

შინაარსი

აბსტრაქტი

1. შესავალი 5

1.1 პრობლემის დასმა 5

2. კვლევის მეთოდოლოგია 7

2.1 კვლევის შეზღუდვები 9

3. ლიტერატურის მიმოხილვა 10

4. სამოქალაქო ომის დეფინიცია 13

4.1 სამოქალაქო ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზები 17

5. Case Study 25

5.1 სამოქალაქო ომი ჩილეში 25

5.2 სამოქალაქო ომი კოლუმბიაში 1964 წლიდან დღემდე 33

5.2.1 სამოქალაქო ომის წარმოშობის მიზეზები 35

6. საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა 37

6.1 ნატო 40

6.2 ევროკავშირი 41

დასკვნა 43

ბიბლიოგრაფია 45

აბსტრაქტი

საუკუნეების მანძილზე სამოქალაქო ომის წინაშე თითქმის ყველა ქვეყანა იდგა. სამოქალაქო დაპირისპირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში. უკანასკნელ ათწლეულებში სამოქალაქო ომების რიცხვმა მკვეთრად იმატა. ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია იმ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდით. მათი უმრავლესობა არის ყოფილი კოლონიები და ახლად შექმნილი პოსტ-საბჭოთა ქვეყნები. ამ სახელმწიფოებში ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური დაპირისპირებები გახდა თითქმის ბუნებრივი მოვლენა, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის სამოქალაქო ომის წარმოშობისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ძველი და ახალი სამოქალაქო ომების გამომწვევი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები და მათ შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები. კვლევის პროცესში შემოწმდა ორი ჰიპოთეზა, რომელიც დაკავშირებულია ახალ სამოქალაქო ომსა და ძველი სამოქალაქო ომის ინიცირებასთან. კვლევის თეორიული ნაწილი იყენებს კალივასის (2007) თეორიას, რომელიც ძველი სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზად პოლიტიკურ ფაქტორს მიიჩნევს, ხოლო ახალი სამოქალაქო ომის მოტივად - ეკონომიკურ მიზეზს. ჰიპოთეზების ვალიდურობის დადგენის მიზნით, კვლევა ჩატარდა ორი მეთოდის გამოყენებით - კონტენტ - ანალიზით და შედარებითი ქეის-სთადის მეთოდით. ინტერპრეტაციული კონტენტ-ანალიზის საშუალებით შესწავლილ იქნა სამოქალაქო ომთან დაკავშირებით მრავალი სამეცნიერო ლიტერატურა. კონტენტ-ანალიზი მოიცავდა სამეცნიერო კვლევებს სამოქალაქო ომის პრობლემაზე ზოგადად, და კონკრეტულად, კოლუმბიის სამოქალაქო ომსა და ჩილეს სამოქალაქო ომზე. სიღრმისეულად იქნა შესწავლილი სამოქალაქო ომის წარმოების თეორიაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა და ემპირიული სტატისტიკური მასალა მოძიებული ელექტრონული ჟურნალ-გაზეთებიდან და ისტორიული წყაროებიდან. ქეის-სთადი მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა ჩილესა და კოლუმბიის სამოქალაქო ომები და მოხდა მათი შედარებითი ანალიზი.

კოლუმბიის და ჩილეს სამოქალაქო ომების შესწავლის საფუძველზე, კვლევამ აჩვენა, რომ კალივასის თეორია, რომელიც ხსნის სამოქალაქო ომების გამომწვევ მიზეზებს, ვალიდური და ლოგიკურია.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ძველი სამოქალაქო ომი, ახალი სამოქალაქო ომი, ჩილეს სამოქალაქო ომი, კოლუმბიის სამოქალაქო ომი, ნატო, ევროკავშირი.